ორი ათას თექვსმეტი წლის ორ თებერვალს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ლიანა ბუხრიკიძეს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №81, მომმართა: ცოტნე ბართაიამ. მან მოითხოვა თანხმობაზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ცოტნე ბართაიამ (დაბ. 13.11.1982წ. პირადი #01005011172, მცხოვრები: თბილისი ი.კარგარეთელის ქ. N 2ა) მომმართა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, ცოტნე ბართაია (დაბ. 13.11.1982წ. პირადი #01005011172, მცხოვრები: თბილისი ი.კარგარეთელის ქ. N 2ა) გადავცემ ჩემს საავტორო უფლებებს პროექტზე (უძრავი ქონება მდებარე: ქალაქი თბილისი, მუხიანის საცხოვრებელი, რაიონი, გლდანიდან ასასვლელი გზის მარცხენა მხარეს, ავტოგასამართ სადგურ "მუხიანი"-ს მიმდებარედ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N.01.11.13.002.185.) რევაზ ტყემალაძეს (პ #01024004230) მასზედ კორექტირების პროექტის გასაკეთებლად და შემდგომ ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში შესათანხმებლად.

წინამდებარე თანხმობა შედგენილია ჩემი სურვილით, რასაც ვადასტურებ ხელისმოწერით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური სულ (4.36) ოთხი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი. აქედან: (2,00) ორი ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ: (0,36) ოცდათექვსმეტი თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 169-ე მუხლისა. პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.

ცოტნე ბართაია

ნოტარიუსი ლ. ბუხრიკიძე